ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N32/გ

ქ. მცხეთა

15 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პატიო-არტ“ , წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გირგვლიანის სახით შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 63 ცალი საშვის შესყიდვა. (CPV22457000) ინვოისი თან ერთვის.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 20 აპრილის ჩათვლით.
2.2 ერთი ცალი საშვის ღირებულებაა 3.50, მთლიანი საქონლის ღირებულებაა 224 ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხუთ სამუშაო დღეში.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა შესრულებული სამუშაოს აქტის გაფორმების შემდეგ, ხუთ სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 საქონლის არაჯეროვნად მიწოდების ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი მომსახურეობის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი გიორგი პაპაშვილი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მოწოდებელი"	„შემსყიდველი"
შპს „პატიო-არტ"	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
საიდენტიფიკაციო კოდი: 205262936	ს/კ 236098824
ბანკი: „თიბისი ბანკი "-ს	ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TBCGE22	ბ.კ TRESGE22
ა/ა GE03TB7081536020100010	A/N GE24NB0330100200165022
მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N35/37	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ,N7
დირექტორი	მუნიციპალიტეტის გამგებელი
გიორგი გიორგვლიანი	ზურაბ აბესაძე